ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N13

2025 წლის 06 თებერვალი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 თებერვლის N16 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქუჩა N13.)
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ასლან საგანელიძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

1. ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე მდებარე 224 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.21.579.

2. ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე მიმდებარედ 40 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.21.252.

3. ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ 28 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.21.581.

4. ქ. ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩა N21ა-ში მდებარე 64 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 86.19.25.819.

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიკორწმინდაში მდებარე 20 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული (ყოფილი სანავთის) შენობა ს/კ: 86.11.25.470.

6. ექსპლუატაციაში ნამყოფი (მეორადი) კონდენციონერები, რაოდენობით 37 (ოცდაჩვიდმეტი) ერთეული.

7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიკორწმინდაში მდებარე 2748 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შაორის მიმდებარე ტერიტორია) ს/კ: 86.11.31.844.

8. ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ 711 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.28.237.